თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

,,თეატრი და ცხოვრება''

წლიურად 25 მან., ნახევარ წლით 15 მან. თითო ნომრი--5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. ,,თეატრი და ცხოვრება'' იოსებ იმედაშვილი.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 86

1919 წ. № 10 კვირა ენკენისთვის 14 ფასი 5 მან. წელიწადი მეშვიდე გამოცემისა



**მისს მარჯორი უორდროპი** [1869-1909]
გარდაცვალებიდან ათის წლის თავის გამო (იხ. მე-2 3 გვ. აკაკის ლექსი და კეთილი სული)



ფოტ. ზანის

**მისტერ ოლივერ უორდროპი**
ინგლისის უმაღლესი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიაში [იხ. მე-3 გვ. ,,სადღეისო ნაკვთები''—კეთილი სული]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დათვის სამსახური

მოგეხსენებათ ერთგული დათვის ამბავი, მძინარე პატრონს რო ქვა დასცა შუბლში, ბუზს გავუფრთხობო და ამის მაგიერ კი სული გაუფრთხო.

სწორეთ ამ დათვის ამბავს მომაგონებს ჩვენი დაბა სოფლების სცენის მუშაკთა უმეტესობის ,,მოღვაწეობა.“

იყო დრო, როცა სასოფლო-სახალხო სცენის მოღვაწეობას ხელს ჰკიდებდენ უანგარო და ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანნი, სასცენო ხელოვნების მოკრძალენი.

დღეს კი სასოფლო სახალხო სცენა სატირალ მდგომარეობაშია, ნამდვილ პამპულაობას დამსგავსებია. ამ დარგის ,,მოღვაწეთა‘‘ დიდს უმრავლესობას უბრალო, ელემენტარული წარმოდგენაც კი არა აქვს სასცენო ხელოვნების მაღალ დანიშნულებაზე. ხშირად იდგმება უშინაარსო, უიდეო პიესები, ან ყოვლად მოუმზადებლი, უხეირო პირობებში. არც სცენა, არც დეკორაცია, არც როლების ცოდნა, არც გრიმი, არც ტანისამოსი...

თუ დაბა-სოფლად სადმე ინტელიგენტური ძალები იყო, ქალაქებისკენ გაიკრიფა, დარჩენილნი — დღიურ ლუკმის ძიებით გამწარებულნი მზის ამოსვლა-ჩასვლასაც ვერ ამჩნევენ, არა თუ ხელოვნების დარგზე იზრუნონ, და სასცენო ხელოვნების ეკლესია სრულიად უპატრონოდ დარჩა... ხოლო უპატრონო ეკლესიას-კი ქაჯები ეპატრონებიან. ზოგან თუმცა სასცენო დარბაზიც მოიპოვება, შესაფერი ძალებიც, ნიჭიერი ახალგაზდა ქალ-ვაჟნიც, მაინც ხელოვნება ვერ დღესასწაულობს: ეს შესაფერი ძალნი და ნიჭიერნი ქალ-ვაჟნი ან პარტიულ-ჯგუფურ განხეთქილების მორევში იფლობიან, ან უდისციპლინობაში, ან პირად კინკლაობაში...

ჩვენის სამშობლოს ასაღორძინებლად შეიძლება ისე არასოდეს არ ყოფილიყოს სასცენო ხელოვნების აყვავება საჭირო, როგორც დღეს: ერი ჩვენი ჯერ ვიდრე წარმართობაშია ჩაფლული და მას კინ აღამაღლებს, ვინ გაალამაზებს თუ არა ხელოვნება, განსაკუთრებით სახიობა, მუსიკა და სხ.

ამიტომ სამშობლოისა და დემოკრატიის ყოველი ერთგული შვილის მოვალეობაა ამ დარგს დიდი სიფაქიზით მოეპყრას — სცენის ერთგული მუშაკთა წრის შექმნასთან ერთად ხელი შეუწყოს სახალხო სახლთა აგებას და დრამატიულ ხელოვნების მოწიწებით სამსახურს...

ურიგო არ იქნება ქართ. დრამ. საზოგადოებამ, მსახიობთა კავშირმა და დამფუძნებელ კრების სახელოვნო კომისიამ ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქციონ და ისეთი პირობები შექმნან, რომ სასცენო ხელოვნების განვითარება დაბა-სოფლად წესიერ კალაპოტში ჩადგეს...

ეს დროით საჭირო არის, თორემ დათვის სამსახურის ამბავი ჩვენს ხელოვნებასაც დაემართება...

იოსებ იმედაშვილი

## მარჯორი შორდროჯის სახსოვრად

სახელ განთქმული ინგლისიდან
შემოფრინდა ჩვენში ობლადი
ვით მერცხალი, მოჭიკჭიკე,
გაზაფხულის მახარობლად!

აჭიკჭიკდა და აგვიხსნა
წინაპრების გზა და კვალი!..
შეუწონა აწმყო წარსულს
და გვიქადა მომავალი..

გვითხრა: ტყვილა გულს ნუ იტეხთ!..
თქვენგან მე ბევრს გამოველი,
არ მოკვდება ის ერი, ვინც
წარმოშობა რუსთაველი!..

ეს გვითხრა და სხვაც რამ კიდევ
ბევრი დარჩა მას სათქმელი,
ვისაც ასე ჯერ უდროოდ
საუკუნოდ ჰფარავს ბნელი.

მაგრამ მაინც იმ ბნელიდან
მზის ციაგად მოგვფენს ნათელს,
და მიტომაც საქართველო
არ ივიწყებს იმის სახელს!..

აკაკი

## სადღმისტ ნაკვეთები

### დაბრუნებული ძმა



**მამედ ბეგ აბაშიძე**
მუსლიმან საქართველოს გამანთავისუფლებელ კომიტეტის და ქართველ მუსლიმანთა წარმომადგენლების ყრილობის თავმჯდომარე.

მზემ ჩვენსკენ იბრუნა პირი. საქართველოს წყლულები ნელნელ უმთელდება, ერი ჩვენი სხივოსნდება.

ვინ არ იცის, ჩვენს სჯულით, სარწმუნოებით გაორგულებულ ძმათა—მუსლიმან ქართველთა — განდგომილებამ რაოდენი მწუხარება შეგვამთხვია როგორც ჩვენ, ისევე თვით მათს ღირსეულ შვილთ. ჩვენს შორის ჩატეხილ ხიდის გადებას ხელს უშლიდენ უცხო შავ-ბნელ ძალებთან ერთად ოთარბეგებიც...

მაგრამ მამა-პაპათა ნაღვაწი უქმად არ გაქრა: გზამ ნაგზური მოსძებნა, წყალმა ნაწყლური და ამიერიდან ჩვენი ეროვნული სხეული ისევე გამთელდება.

დაე, ვიყვნეთ სხვადასხვა სჯულისანი, სარწმუნოებით განსხვავებულნი,— განა ცხვირი კოცნას დაგვიშლის?

ჩვენ ორი განდგომილი ძმანი ვიყავით: ერთი საოსმალოსკენ გადახრილ, მეორე რუსეთისკენ. განვლილმა დროებმა დაგვიმტკიცა თუ რაოდენ მავნებელი იყო ჩვენი ურთიერთისგან განდგომა... და ამიტომ ქართველის აღბორგებულმა სულმა დაიწყო ძიება თავის მთლიან სხეულის აღსადგენად. დღემდე თუ ამას ერთი განდგომილი ძმათაგანი ეურჩებოდა, დღეს უკვე დედა-სამშობლოს მკერდს მიეკრა,—

სამუსლიმანო საქართველოს ხალხის წარმომადგენელმა ყრილობამ ენკენისთვის 5 მამედბეგ აბაშიძის



**ხოჯა ეფენდი ცივაძე**

თავმჯდომარეობით ჩვენს რესპუბლიკას საგანგებო მოციქულნი აახლა,—მიგვილეთ და შეგვიფერეთ, ღვთისა და კაცობრიობის წინაშე ვაღიარებთ, რომ სისხლით, ხორცით და სულით თქვენი ძმები ვართ თქვენთან სიცოცხლე, თქვენთან სიკვდილიო...

კურთხეულიმც იყოს ეს ნაბიჯი, უკვდავიმც იყოს ეს გადაწყვეტილება...

მოწიწებითი სალამი ამ საქმის მეთაურთა და მომწყობთ...



**ჰაიდარ ბეგ აბაშიძე**

დაე, ვარდებითამც მოიფინოს გზა მათი...

სამუსლიმანო საქართველოს მამულიშვილთა — მამედ ბეგ, ჰაიდარ ბეგ ზია-ბეი აბაშიძის, რეჯებ ბეგ ნიჟარაძის, ხოჯა ცივაძის და სხვათა, რომელთაც ამაგი დასდეს მშობელი ერის გაერთიანებას,—ღვაწლი განუზომელია სამშობლოს წინაშე...

ჩვენს რესპუბლიკას ცნობილი ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილიც ეახლა...



**რეჯებ ბეგ ნიჟარაძე**

ზეინაბ დედოფალმა—საქართველომ—უკვე დაამსხვრია მონობის ბორკილი და, დაე, ოთარბეგებიც გამოფხიზლდნენ და თვისი წინანდელი დანაშაული ამიერიდან სამშობლო-საქართველოს ერთგული სამსახურით გამოისყიდონ!..

გაუმარჯოს მთლიან საქართველოს და მის შემოერთებულ მუსლიმან ქართველთა ერთობას!..

### კეთილი სული

სწორედ კეთილი სული იყო, თითქო ზეცით მოვლენილი, მარჯორი უორდროპი, რომელიც ამ ოციოდე წლის წინად ესტუმრა ჩვენს ქვეყანას; შეგვიყვარა ისე, როგორც არც ერთმა უცხოელმა ქალმა; შეიტკბო, შეისისლხორცა და განიცადა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ნაფიქრ-ნააზრი და დიდის ბრიტანეთის ერს გააცნო... მისმა მგზნებარე გულმა, სპეტაკმა სულმა და მშრომელმა მარჯვენამ შოთა, ნინო, საბა-სულხანი, ილია და სხ. ინგლისის ერს გაუზიარა.., ამითი აგვამაღლა და ჩვენს დღევანდელს უკეთეს მდგომარეობას ამ სუსტმა არსებამ სწორედ მაშინ ჩაუყარა საძირკველი...

და როცა ინგლისის სარდლობა ჩვენს ქვეყანაში ყალბის ცნობებით გაბერილი ჩამოვიდა, როცა ვხედავდით ზოგიერთი მათგანის ცალმხრივობას, ჩვენ ყოველთვის ღრმადა გვწამდა, რომ დიდებული ინგლისის ერი და სახელმწიფო მუდამ ასეთი შეცდომებით არ ივლიდა... რომ ერთხელაც არის მასში გაიღვიძებდა ჩვეულებრივი სამართლიანობის გრძნობა იმ ბრწყინვალე ასულისა მისს მარჯორი უორდროპისა, რომელმაც ინგლისს ჯერ კიდევ ოცის წლის წინად გააცნო ჩვენის ერის სულიერი კულტურა და ბრწყინვალე წარსული..

გასულ კვირას გვეწვია ინგლისის უმაღლესი წარმომადგენელი ჩვენს ქვეყანაში მისტერ ოლივერ უორდროპი, ძმა მისს მარჯორი უორდროპისა.

და ამან კიდევ ერთი ორად გაახარა გული ჩვენი,

იმიტომ კი არ, რომ იგი ჩვენ მოგვემხრობა მეზობელთა საზიანოდ, არამედ იმიტომ რომ მან იცის ჩვენის ქვეყნის ავი და კარგი, აქ მოსახლე ერთა ყოველი ვითარება, სამართლიანია და ვერ მოატყუებენ...

ქართველ ერს კი ერთი უნდა: ისე მოეპყრან, როგორიც არის—სამართლიანად.

ეს იცის მისტერ უორდროპმა, იცის ისიც,—რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერი ერთი უძველესი ერთაგანია, ბრწყინვალე წარსულის მქონე, სახელმწიფო ნიჭით დაჯილდოვებული, სიყვარულის ღრმად განმცდელი და ნეტარება მას, ვინც ჩვენს სიყვარულს დაიმსახურებს, ვაი მას ვინც სიძულვილით მოგვექცევა...
ხოლო მისტერ ოლივერ უოდროპის კეთილშობილური გული, რაიც გამოჩნდა ჩვენის ქვეყნის მწერლობა-იტორიის შესწავლაში, მისი სახლმწიფოებრივი მოღვაწეობა (სხვადასხვა სახელმწიფოს კონსულად)და მაღალ-განათლებული გონება სანუგეშო იმედს იძლევა.

სალამი და გამარჯვება ჩვენის ქვეყნის ძვირფას სტუმარს .. მშვიდობა მოსვლასა მისსა!..

### სულის მესაიდუმლე

—ვინ არის, სულის საიდუმლოებას რომ შეიცნობს, უტყვს აამეტყველებს, ერთფეროვანს გაამრავალფერადებს, მრავალფეროვანს გააერთფეროვანებს?

—მწერალი, ჭეშმარიტი ხელოვანი..

ვინ არის ერის კვნესას რომ საკუთარ გულში გადაიტანს, ხალხის ტკივილით სულს იწამებს და ნაწამებ სამშობლოს უკეთეს მომავლის საგალობელს უმღერს, რწმენას განუმტკიცებს?

—მამულიშვილი მწიგნობარი, ხალხის წიაღში ნაშობი უანგარო მებრძოლი...



ია ეკალაძე—იაკობ ცინცაძე
[სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის შესრულების გამო]

და ერთი მათგანია ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე) წინად თომაანთ კობას სახელით ცნობილი, რომელსაც ამა 1919 წ. ენკენისთვეს 14 უსრულდება 25 წ. რაც სამშობლო ქვეყნის წყლულებს ხელს ურევს და მალამოდ ედება... ეს ის მწერალია, რომელსაც მთელი 25 წლიწადი კალამი ნესტრად ჰქონდა მოპარჯვებული ჩვენის საზოგადოებრივ სიდუხჭირის, უკნარობის, უარარაობის დასანესტრად.

პუბლიცისტიკაში, ბელეტრისტიკაში, პოეზიაში, საზოგადოებრივ-პრაქტიკულ მოღვაწეობაში იგი მხოლოდ ერთს მსახურებდა—მშობელი ქვეყნის აღდგომას, მშრომელთა გამოფხიზლებას, ქედმაღალთა დამხობას, ძირს გარდხმულთა განკაცებას...

ვის არ ახსოვს მისი მაღალი გრძნობით შექმნილი ლექსნი პროზად, სევდის არშიამოვლებული გესლნარევ ცრემლით ნაწერი მოთხრობები, გამეხებით აღმომქშინავი წერილები... ბოლოს ამას დაუმატა პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობა,—იყო ვექილი, ამით შეეძლო ქონების მობოჭვა, მაგრამ ეს არ ინდომა და მოზარდი თაობის გაწრთვნას შეუდგა!.. ამ დარგში შეადგინა სახელმძღვანელო წიგნებიც. მისი მხატვრული ნაწერების რავდენიმე კრებულია გამოცემული ხოლო ამჟამად დაწერილი აქვს დიდი რომანი „ცხოვრების ტალღებში," ორ ნაწილად, რომელიც გვისურათებს რევოლიუციის წინა და შემდეგ ხანას, ჩვენს სტუდენტობას ტელიკეტიკოსს, კაპ. მოქიდუნეს, მას აქვს და კარგს.,

აქვს პიესებიც: ,,ნომერი 21 ჯვრით" და ,,ილია"

იგი ერთი ძველი იმ პრაქტიკულ მუშაკთაგანია, რომელთაც 90-იან წლებში ხალხის გათვითცნობიერების საქმეს საძირკველი ჩაუყარეს თბილისში: იგი იყო რომ ვერ კიდევ სემინარიაში მოწაფეობის ჟამს ძველს დამყაყებულ ქვეყანას ბრძოლა გამოუცხადა, დაჰკმო და შეაჩვენა... იგი იყო რომ გადმოგვძახა: ტურფა წალკოტს დათვს და ტურა მელებს ნუ აქელვინებთო... ხოლო მტარვალთ გასძახა მართლმსაჯულობის სახელით უსამართლობას ნუ სჩადიხართო. და ამის გამო მთელი წელიწადი აწამეს გადასახლებით ..

სული, გრძნობა, გული და გონება ხალხის საბედნიეროდ ჰქონდა განწირული და როგორც შიშველი მოვიდა ამაქვეყნად ,ისევე შიშველია აწ—ამ 25 წ. ნარეკლიან გზაზე მოღვაწეობის შემდეგ, რომელს მანუგეშებლად, სამშობლოს თავისუფლებასთან ერთად, შთენია მხოლოდ ცხოვრების მუდმივი ერთგული თანამგზავრი მეუღლე და ჯერ კიდევ დაუბინავებელი შვილები..

დღეს, როდესაც მისი ნიჭი მომწიფდა და მეტს თავისუფალ ასპარეზს ითხოვს, ჩოხატაურის (გურიაში) გიმნაზიის დირექტორად მსახურებს, რა არის სრული ად სიმშილით არ ამოეწყოს ცოლშვილი...

თუჯერ კიდევ ვერ შეგვიქმნია ისეთი სახელმწიფო ფონდი, რომელიც ჩვენის ქვეყნის მწერლებს და ხელოვანთ უნდა უზრუნველყოფდეს, დაე საზოგადოებამ, განსაკუთრებით ახალგზდა საქართველომ მაინც გამოიდოს თავი და თვის ერთ რაინდ მომღერალთაგანს სამადლობელო ზეიმი გაუმართოს..,

დაე ნუმც დაელევა ძალღონე, ნიჭი და კალმის ბარაქა მუდამ მომყივან, საზოგადოებრივ დარაჯს ჩვენს საყვარელ მწერალ იას... წარსულში ნარ-ეკლით დალარული შუბლი ამიერიდგან ია-ვარდითამცმოჰფენოდეს

**იოსებ არიმათიელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განახლებული სიცოცხლე

რომანი

ქართველ-სომეხთა ომიდან

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 9)

— დიაღ, ბატონო მინისტრო.—განაგრძო ვ. გოგუაძემ მცირე სულის ამოთქმის შემდეგ ულვაშებზე ხელის გადასმით,—მე შიშის მცნება არ ვიცი... და აი ამის მაგალითებიც: უეჭველია თქვენც მოგეხსენებათ სარიყამიშის დამხობის დროს სეიმმა რომ მიბრძანა, იქიდან ჩვენი სახელმწიფო ქონების გამოტანა. როცა ეს ქონება მომქონდა გუმბრში სომხები გადამეღობნენ გენერალ ნაზარბეგოვის განკარგულებით, დიდის ჯარით ქონების წართმევა მოინდომეს, მაგრამ მათ წარბი ვერ შეამახრევინეს და ბეწვიც ვერ წამართვეს. ამავე 1918 წ. მარტის 4 თუ 5 სარიყამიშიდან გამოქცეულმა სომხის პოლკებმა დასწვეს ბერძნთა, მალაკანთა, რუსთა და სხვათა სოფლები; აიკლეს მათი ქონება, სახლკარი. ეს გამოქცეული პოლკები ჩემის ჯავშნოსნებით შევაჩერე, სომხებს დაჩოქვით ფიცი მივაღებინე და უკანვე გავისტუმრე საზღვრის დასაცველად ოსმალთა შემოსევის დროს აშალასერალიდან კობერამდე ორი ჯავშნოსანით 80 ვერსი ავიღე, 500 დე ტყვე წამოვიყვანე ოსმალთა, წამოვიღე 3 ზარბაზანი, 150 ეტლი, წამოვასხი დიდძალი ცხვარი. ძროხა, ცხენი და სხ. რასაც სომხები ღვთის განგებათა სთვლიდენ.. ჩოლოქის ბრძოლაც გეხსომებათ, აპრილის 8, როცა დიდძალი ოსმალო შემოგვესია, ხუთი ათასი კაცი დავაწვინე, მათგან მარტო მოკლული ორი ათასს აღემატებოდა. ამას ის მოჰყვა, რომ ჩოლოქზე მტერს ფეხი არ გადმოვადგმევინე. დიაღ, თუ ყოველივე ეს შევძელ, ვერაგ მტერს არც ახლა შევუშინდები, მაგრამ დღეს სომხებთან ბრძოლა აგრე არ გამოგვადგება. იმათ ჩვენი შეტყუება სურთ. უმჯობესია ჩვენ შემოვიტყუოთ... სომხები საომრად დიდიხანია ემზადებიან: მათ მიერ ძეგვის ხიდის აფეთქება ნოემბრის 24, მანთაშევის ქარვასლაში შეიარაღებული წინააღმდეგობა, შულავრის ურჩობა, მალმალ საზღვრების გადმოლახვა ნუ თუ მათ სულისკვეთებას არ ააშკარავებს?! დღეს ჩვენ უკვე დიდ შეიარაღებულ ძალასთან გვექნება საქმე და თუ დიდი ძალავე არ დავახვედრეთ, წავაგებთ.

სამხედრო მინისტრი ყურადღებით უსმენდა ვ. გოგუაძეს; მართალია, ამ დროს ასეთი ლაპარაკი ცოტა გრძლად ეჩვენა, მაგრამ მაინც გულდადინჯებით მოუსმინა და მიუგო:

—შეიძლება მართალიც იყო, პირადათ გეთანხმები, მაგრამ მთავრობა ახლა ამ გზას ვერ დაადგება.. მაგას სამხედრო ავანტიურაში ჩამოგვართმევენ! ომს ხომ არ დავიწყებთ..- ავაზაკთა ბრბოები თუა გამოჩენილი, მაგათ ადვილად გავუსწორდებით... დღეს რესპუბლიკა კვლავ შენს სამსახურს ითხოვს და უნდა წახვიდე... ამასთანავე გიცხადებ, რომ მთავრობა, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი და მე საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზათა კომენდანტათ გნიშნავთ, იმ პირობით კი რომ, სამხრეთის ნაწილში გენ. წულუკიძეს დაემორჩილები, როგორც სამხედრო საქმეთა მთავარ ხელმძღვანელს...

—მესმის ბატონო მინისტრო, რესპუბლიკის ბრძანება—ჩემთვის უმაღლესი კანონია!—მიუგო ვ. გოგუაძემ მტკიცე მხედრული კილოთი და იმავე დღეს—1918 წ. ქრისტეშობისთვის 7 გენერ. წულუკიძესთან ერთად, რომელიც დეპეშას ჩამოჰყოლოდა, პირველი ნომრის ჯავშნოსანი „რესპუბლიკელით" სანაინს გაემგზავრა..

## ცრუ მოციქულობა

სომეხთა სამხედრო მოქმედების საიდუმლო ხელმძღვანელი ტიგრანა სიხარულით ცას ეწეოდა, როცა ხედავდა მის გეგმას რა ნაყოფიც მოჰქონდა.

—ბრძოლის ველზე გამარჯვების პირველი თავდები თაოსნობის გამოჩენააო! ეს თაოსნობა უკვე ხელში ჩავიგდეთ, ქართველთა მოსაზღვრე ჯარის კაცები გავჟლიტეთ, საქართველოს თავზარი დავეცით, და სხვა რაღა გვინდაო,—ფიქრობდა ტიგრანა სანაინთან დაბანაკებულ სომეხთა ჯარის შტაბში: გამარჯვება რომ ჩვენია და ორ დღეში თბილისს ავიღებთ, ამაში ეჭვიც არ მეპარება,—წარმოსთქვა მანვე თითქმის ხმამაღლა მცირე შეფიქრების შემდეგ,

—ჰამე?—იკითხი შტაბის ერთმა წევრმა.

—ჰმ?..—ამოიზმუქუნა ტიგრანამაც თვისდა უნებურად და მალე თვითონვე დაატანა: ჰო, გამარჯვება რომ ჩვენია, ეჭვი არა მაქვს და ურიგო არ იქნება ეხლა ევროპასაც ვაცნობოთ ჩვენი გამარჯვების ამბავი.

—ვითომ ნაადრევი არ იქნება?—იკითხა ერთმა ჭაღარა მოსილმა გენერალმა. ბრძოლის სასწორი ცვალებადია, ვინ იცის საით გადიწევა... ჯერ ვუცადოთ.

—ვუცადოთ?—ერთი აქ უყურე და!.. წამოდგა ტიგრანა: იცით, რომ მთელი რუსეთი ჩვენსკენ იყურება, ამერიკა, საფრანგეთი, ინგლისი... ინგლისი ბაქოშია, ჩვენი გამარჯვების ამბავი რომ გაიგოს იცი რა იქნება,—ოქრო ვაგონებით მოვა,—მე შენ გითხრა, პური, შაქარი, ნავთი კი არ მოგვინდება!.. ნუ დაივიწყებთ, რომ ყოველი დღე ჩვენ სიმშილის მეფეს გვიახლოვებს და თუ ევროპა ჩვენს გაჭირვებით გამარჯვებას დროით გაიგებს შემწეობაც ადრევე გვექნება...

—ეგ ხომ მართალია, მაგრამ ვაი თუ ვერ გამოვიდეს?—მიუგო იმავე გენერალმა.

—ვერ გამოვიდეს?—ჩაეკითხა ტიგრანა და ბრძნების კილოთი დაატანა: არშინი და გირვანქა ჩვენი მოგონილი არ არის!.. თუ სამი ჩეთვერია—დაჰკარ ხელი გირვანქა გამოვა, თორმეტი ვერშოკია, გაჭიმე—ერთი არშინი გამოვა, . ის რა ვაჭარია გირვანქაში ჩეთვერი არ მოიგოს, არშინში ჩარექი, პოლიტიკაში დრო და მდგომარეობა,-დააბოლოვა მზაკვრული სიცილით.

—რაც კარგია, კარგია!—მიუგეს დანარჩენთ მოსაწონ მხიარულებით.

—და რაკი კარგია, ახლავე მთელ ევროპას დეპეშით უნდა გადავცეთ, ერთის მხრით რომ ოსმალთა ბაშიბუზუყების მსგავსად ქართველებმაც დაიწყეს ბედკრულ სომხების წამება... ძუძუთა ბავშვების ჟლეტა, დედაკაცების გაუპატიურება დახოცი ? მეომართა შეურაცყოფა... მაგრამ მეორის მხრივ, მრავალტანჯული ერი სომხეთისა უკვე აღსდგა თავის უფლებათ დასაცავად მოკავშირეთა ინტერესების სასარგებლოდ და მოღალატე ქართველთ ყველგან სასტიკად ამარცხებს... ქართველთა ჯარალი ათასობით დაითვლება... სომხეთი საკუთარი სისხლით სწერავს თავის მოკავშირეთა ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის ერთგულების სიგელს...

114,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ შეჩერდა ტიგრანა, დაფიქრდა, მერე განაგრძო: ჯერ ეს იყოს... გარდა ამისა, ამაღამ გზები უნდა ჩაიხერგოს, დილიდან-კი შეტევაზე გადავიდეთ... და იცოდეთ უპირველესი ჯილდო მას მიეცემა, ვინც ქართველთ მძინარეებს დასჭრის ყელებს, რომ ერთი თოფის გასროლაც ვერ მოასწრონ... საქმე ისე მაქვს მოწყობილი, რომ ქართველთა სარდალი გენ. წულუკიძე ამაღამ დიდ ლხინში იქნება, ღვინო-ქალებით დამთვრალი...

ტიგრანა რომ სანაინთან მოქმედებდა, ტერტერა დაღეთ ხაჩინში მოღვაწეობდა: სახარების სახელით ერს უქადაგებდა:—ერო მრავალტანჯულო, მოახლოვდა ჟამი შენის განთავისუფლებისაო. ჯარში გაწვეულ-ჩაწერილთ საგანგებო ინსტრუქტორს ამზადებინებდა. მოჯანყეთა მთავარი შტაბი ტერტერის სახლში ეკლესიასთან იყო მოთავსებული.

ერთ საღამოს ტერტერას ბინაზე მთელი სოფლის ახალგაზრდობა შეკრებილიყო. შუაში ჩამდგარი მოძღვარი აღგზნებით ელაპარაკებოდა გარშემოკრებილ ახალგაზრდობას:

—მრავალტანჯულმა სომხეთის ერმა ან ახლა უნდა გაიმარჯვოს, ან არასოდეს,—დაიწყო ტერტერამ სიტყვით, რომლის ხმარებაც სომხებს ყოველგან ყოველთვის უყვარდათ. ეს სიტყვა იყო ,,მრავალტანჯული‘‘, რომ ამითი უფრო მეტი თანაგრძნობა გამოეწვიათ. და ამგვარი კილოთი განაგრძო:—ისტორიამ ჩ ენი ხეხელოვანი ერის თესლი დედამიწის ზურგზე განაბნია, მაგრამ ერთი სჯული, ერთი სარწმუნოება შეგვანარჩუნა და ყოველი სომეხი, დედა მიწის რომელს კუთხეში სადაც უნდა იყოს, რა პარტიაშიც, სომხის კალთას უნდა იჭერდეს... ზიზღი და კრულვა ყველა იმას, ვინც სომხის დღეგრძელობას არ ემსახურება...

—ამენ!.. მოისმა.

—შვილებო, საერთაშორისო ომიანობამ ძველი ქვეყნის ბორკილები დაამსხვრია... ამან უნდა დაამსხვრიოს ჩვენი ბორკილიც. თუ რუსის ხმალი დაჩლუნგდა, რუსის ხიშტი დაიმსხვრა და ჩვენი მამამფარველის ტახტი დაემხო, განა ჩვენ თავი ქართველების უღელში უნდა გავყოთ?! არა და არა! სომხის მრავალტანჯული ერი არ უნდა ეყმოს ქართველთა თავადებსა და ტეტია—გლეხებს... ამათი ვვარი უნდა მოისპოს, მოისპოს სომხეთის სადღეგძელოთ და სომეხთა საბედნიეროდ... განა ღმერთი აიტანს, რომ ასეთი მდიდარი ქვეყანა დოვლაპია ქართველებს ჰქონდეთ სათელად მაშინ, როდესაც ჩვენი მშრომელი ხალხი მიწა-წყლის ნატრული ოსმალეთის უღლის ქვეშ თურქთა და ქურთთა ლუკმათაა გადაქცეული!..

—ჰაი, ჰაი რომ ღმერთი ვერ აიტანს!..

—სანაინის მხრით ჩვენი სახელოვანი ჯარი წინ მოიწევს, აქედანაც რომ ჩვენ შევუტიოთ, გამარჯვება ბრწყინვიალე იქნება და ვისაც იარაღის ტარება შეუძლიან, ხოლო ჯერ კიდევ ჯარში არ ჩაწერილა, ამიერიდგან ან სომხობას განუდგეს, ან იარაღით ხელში მებრძოლთა რაზმებში ჩადგეს...

—და ნუმც მიგვიღებს დედამშოჩელი—თუ აგრე არ მოვიქცეთ, მოისმა ნახევრად ყრუ ხმა.

—იყოს წყალობა მაცხოვარისა იესო ქრისტესა თავსა თქვენსა ზედა!.

ხელის აპყრობით გადასახა ჯვარი ტერტერამ და ის იყო უკან მობრუნებას აპირებდა, რომ წინ გადმოდგა ტერტერას ქალი:

—მაკურთხე მამაო!..

ყველა გაშტერდა. ტერტერას თითქო ცივი წყალი გადაასხესო, შეკრთა, შეტორტმანდა.

—ჰაიკანუშ?!—შეეკითხა სასტიკი საყვედურით ტერტერა.

—ან ისე, ან ასე!—მიუგო ქალმა და გულზე ხელებ-გადაჭდობილი თავდაღუნული მამის წინაშე ვაჩერდა

— შენ ავადა ხარ.., მიუგო ტერტერამ.

—ვიყავი და აღარა ვარ!..

—დიდება შენთვის ღმერთო, ჩოჩქოლობდა ხალხი,—ნუ თუ ტერტერას ქალიც საომრად წამოვა?!

— ვისაც ცხოვრების ძაფი გაუწყდება, უგზო უკლოდ დაიწყებს ხეტიალს...

—როგორ ცხოვრების ძაფი?

—არ გაგიგია, ქართველი მწერალი შეუყვარდაო, და მამამ რაჟი არ მისცა, თავი მოიწამლაო...

ტერტერამ მანქანისებურად ხელები აიმაღლა, ვითომდა დასალოცავად ტუჩები დააცმაცუნა, მაგრამ მისი სიტყვები არავის გაუგონია,—გუნებაში კი იძახოდა-წყეულიმც იყავ შვილო, რომ უდროვოდ გული მომიკალ: სად მიდიხარ, სად ერთად ერთო ასულო ჩემო...

ჰაიკანუშა მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. მას შემდეგ, რაც ქართველი მწერლის მიჯნურობით გულ დაკოდილი მიზანს ვერ ეწია, მამის დასტურს ვერ ეღირსა. რომ საყვარელ კაცს შეუღლებოდა, რადგან მამა უშლიდა, თავმოწამლული გადაარჩინეს,—ერთხანად იავადა, იავადმყოფა; მაგრამ ერის ჩოჩქოლმა ოდნავ გამოაფხიზლა და ამ კრებაზე, სადაც მამა მისი ტერტერა ერს მოუწოდებდა საბრძოლველად, თითონ აშკარად გადადგა ნაბიჯი, რომ ბრძოლის ველზე გასვლით მამის გულიც დაეკოდნა და ერის სიყვარულიც დაემსახურებინა: დაე, რაკი საყვარელ კაცს ვერ შევეყარე, აქ მაინც ვპოვო სიკვდილიო..

მაშინ როდესაც სომეხთა ხორციელი და სულიერი წინამძღოლნი ოავი' იანთ ასე ასისინებდენ საქართველოს წინააღმდეგ. მეორე დილით ჯავშნოსანი „რესპუბლიკელი‘‘ ეტიხი ხუნგიას უფროსობით სანაინს ავიდა. ეს იყო ქრისტეშობის 8. ჯავშნოსანმა თან მოიყვანა გენ. წულუკიძე და ვ. გოგუაძე. მისვლისთანავე, გენ. წულუკიძეს წარმოუდგა პოლკ. ჩხეიძე და მოახსენა:

—სოფ. უზუნლიართან და კამენვასთან, დებედაჩაის ხიდთან, 117 ვერსზე, სომხებმა ჩვენი მოწინავე რაზმები დახოცეს. როგორც ეტყობა სომხებს ფართე საომარი მიზნები დაუსახავთ და სწრაფად მოიწევენ წინაო.

გენ. წულიკიძე წინასწარის ცნობებით სწორედ ამასვე ელოდა. ამიტომ ბევრი აღარ მოუცადა. იმავე წუთს განკარგულება გასცა და საქართველოს მოსაზღვრე მცირე რიცხოვანი ჯარი საბრძოლველად განამზადა, მხოლოდ მოგერიების მიზნით. მტერს ადრევე მოხერხებული ადგილები დაეკავებინა და ჩვენ ჯარს ძლიერ უჭირდა.

სწორედ ამ შემოტევის დროს გენ. წულუკიძესა და ვ. გოგუაძეს ეცნობათ, სამშვიდობო დელეგაცია მოდის გუმბრისაკენ—ინგლისელ გ—ისა და ფრანგ—ფ სგან შემდგარიო. ქართველმა სარდლობამ ეს ეგრედწოდებული სამშვიდობო დელეგაცია პურ-მარილით დიდის პატივით მიიღო და უხვად გაუმასპინძლდა... ჩვეულებრივ ქართველურ ლხინში ქართველთა სარდლობის ზოგიერთ წევრს ისიც წამოსცდა, რაიცა ყოველ მოწინააღმდეგე მეომარს საიდუმლოთ უნდა ჰქონოდა გულში: აქ გამოაქვეყნეს, რომ ქართველი ჯარის ლაშქრად გამოსვლა არც თუ აგრა მალე მოხდება. რომ მოსაზღვრე ჯარები არც თუ საიმისო ძალას წარმოადგენდენ, ქართველთა გვარდიუწვრთნელი ბრბოა ჯარი არა ჰყავთ და საე

სომხები მარტო აშკარა იარაღით არ იბრძოდენ. ჰგონია ბანდებთან მაქვს საქმეო... გარდა ამისა, დელეგაციამ კიდევ უფრო კარგათ დაზვერა ჯარის მოძრაობა და სულიერი მდგომარეობა ასწონა. წასვლის წინ დელეგაციამ ქართველთ სარდლობას დახმარება აღუთქვა ჩვენ მოგარიგებთო. ქართველმა სარდლობამ ეს ,,მშვიდობიანობის'' აღმთქმელი მოციქულნი თავაზიანად გასტუმარი.

ქართველთ მთავრობა სომხებს ომს არც კი უპირებს

დელეგაციის გავლის შემდეგ სომხეთა შემოტევა იმ მხრით გაძლიერდა, საიდანაც ქართველთ მხედრობას უფრო ადვი ლად მოუვლიდენ — მტერმა გაიგო ჩვენი სუსტი მხარე ისიც, რომ ნაკლები ძალა გვყავდა და მიტომ უშიშრად მოიწევდა წინ. ყოველივე ეს გადასცა ვითომ და სამშვიდობო დელეგაციამ, ფრანგმა და ინგლისელმა, რომლებიც სომხეთა ჯაშუშები ყოფილიყვნენ თბილისიდან სომხებთან წასულნი, — აშკარად, სიტყვით ჩვენ გვეხმარებოდენ, საქმით-კი სომხებს...

სომხებს ჩვენს ქვეყანაში ჯაშუშობაც კარგათ ჰქონდათ მოწყობილი.

სამხრეთ ს რკინის გზის მოსამსახურენი, ყველანი ომხები იყვნენ და ყოველგვარ ცნობებს აწვდენდენ სომხებს. ყველაზე უფრო მარჯვედ იქცეოდა ფოსტის უფროსის ცოლი, რომელიც მტერს მოხერხებულ ადგილიდან ანიშნებდა ქართველთ მოძრაობას,..

და ამ გვარად სომხები თანდათან წინ მოიწევდენ ცდილობდენ რკინის გზის ხელში ჩაგდებას, მხოლოდ რასაც ვერ ჩაიგდებდენ — დაზიანებას!..

ქართველი მცირე რიცხოვანი ჯარი ცეცხლის რკალში ემწყვდეოდა...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## თავისუფალ საქართველოს

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ქართველთ აკვანო მხარეო
კმა გეყო მრავალ წამებულს, რაც დღემდე ცრემლი ღვარეო,
ჰკვდავ გაგინათლდა წყვდიადი, შეკუმშო არე მარეო,
აგიყვავილდა წიაღი, მოწალკოტ - მობაღნარეო;
გეღირსა, რასაც ნატრობდი იდუმალ გულ-მდუღარეო:
შენს სახლში გერად აღარ ხარ, სხვის ნებად მოჯიაბარეო;
თავის თავადი შეიქენ, დასტკბი და გაიხარეო!

აბა შენ იცი, სულისდგმავ, ღვთაების სწორო მხარეო;
ვით შეიფერებ ამ მადლსა, როგორც შინ ისე გარეო.
ნატვრის თვალს მოვლა სჭირია, თან დაცვაც ერთობ ცხარეო.
აქ გინდა გმირთა გმირობა და გული გრძნობიარეო,
გამჭრიახობა, გამჭვრეტა, ნამუსის სინარნარეო,
მსხვერპლი, მოწამის გვირგვინი, ბრწყინვალე მოელვარეო.
უმსხვერპლოდ მზე არ გამზეებს, არცა გიმთვარებს მთვარეო
არ შეგვირდომებს ის დროშაც, რომელსაც შეეფარეო.

ამაღლდი, აბუმბერაზდი, აეგზნე ტურფა მხარეო!
გაერთდი, გაკაჟ-ფოლადდი, აჭვები უკუ ჰყარეო,
ხელთა აიღე ფარ-ხმალი, გმირულ ღვაწლს დაეჩქარეო,
და შეიმტკიცე ის მადლი, რომელსაც ეზიარეო.
კურთხეულიმც იყავ ამ გზაზედ, თვალთა სინათლე მხარეო,
აგცდეს კვლავ ყოფნა ბაბილონს და შენ ტყვეობა მწარეო!

1918 წ. ,,ახ. სიტ.'' ლ. წულაძე.

## ნაწყვეტი

ლამაზი რომ იყო, იმიტომ მომწონდა თამრო და დარწმუნებული ვიყავი, მეც იმიტომ მოვწონდი.

ერთხელ თამრომ მუსაიფის დროს საყვედურით მითხრა: „ამდენი ამხანაგები გყავს და რატომ ერთ მათგანს მაინც არ გამაცნობ, მხოლოდ მისთვის, რომ ვიცოდე, თუ როგორ ამხანაგებთან გაქვს საქმეო''.

მე იქვმა შემიპყრო. არ დამაკმაყოფილა ამ განმარტებამ; მაგრამ ბოლოს იძულებული ვიყავი საყვედური თავიდან ამეცდინა.

მოფიქრების შემდეგ, ერთ საღამოს თამროს ამხანაგი ნიკო გავაცანი.

ახანაგი, რომელსაც მარცხენა ფეხი ბევრად უფრო გძელი ჰქონდა მარჯვენაზე, და ორივე თვალები ბრუციანი იყო.

ჩემდა გასაკვირველად, თამრო სრულიად კმაყოფილი დარჩა ამ გაცნობით.

დილხანს მუსაიფობდნენ ისე, რომ ჩემი ჩუმად ყოფნა არც კი შეუნიშნავთ

მეორედ უკვე უჩემოდ დასეირნობდენ.

მესამედაც ისე... რ

ძალიან მიკვირდა თამროს საქციელი და ერთხელ, როდესაც მკითხა: „დღეს ნიკო არ მინახავს, ხომ არ იცი სად არისო''. — მაშინ კი უკვე იქვი შემეპარა თამროს სილამაზეში.

გოგი ბუაჩიძე



პორუჩიკი გიორგი ჟორდანია

,,ინტერნაციონალურ ასეულის'' უფროსი რომელმაც ახალციხის ფრონტზე (თებერვალში) დიდი გმირობა გამოიჩინა: როცა რეგულიარულმა ჯარმა ფრონტი მიატოვა, გ. ჟორდანია ორი კვირა გაუმკლავდა მრავალრიცხოვან მტერს, დარჩენილი ჯავშნოსანი ავტომობილები და სხვა იარაღები გამოიტანა მტრის ცეცხლიდან. ამ გმირობისთვის დაჯილდოვებულ იქმნა გიორგის ჯვრით და წარდგენილია ოქროს ხმალზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამეგრელოს სცენისმოყვარენი



ირაკლი ათანასეს-ძე ჭოხუა

მოღვაწეობა დაიწყო ბაქოში 1908 წ. განსაკუთრებით კომიკურ როლებს ასრულებს. 1918 წ. გადაიყვანეს ზუგდიდის კოოპერატივთა კავშირში. აქ დაიწყო სათეატრო-კულტურული მუშაობა. მისი თაოსნობით შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, მოეწყო სასცენო დარბ სამკითხველო და სხ. მისი რეჟისორ. ზუგდიდში უღელკვირა იმართება წარმოდგენები. დაწერილი აქვს პიესები „გაუმარჯოს საქართველოს!“ „ძმის მკვლელი“ და სხ. ზუგდიდის მაზრაში აწყობს საკლუბო კლუბებსთეატრებ.



ვერა დავ. (ძვ) ქარდავა
(მარო —,,მორევში'')

ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროიდანვე მონაწილეობდა სათავსო წარმოდგენებში, 5 წ. ზუგდიდის შემთხვევითი წარმოდგენებში მუშაობდა, ახლა მუდმ. მონაწილეობს. უფრო დრამატიულ როლებს ასრულ. მასწავლებლობს ს. ცაიშს.



ტერენტი ლუკასძე ლატარია

ზუგდიდ. სამურზაყანოს კოოპერატივთა კავშირის თავჯდომარე და დამაარსებელი, მოსამსახურეთა კლუბის თავმჯდომარე, ზუგდიდის ერობის ხმოსანი, სცენაზე მუშაობა დაიწყო 1905 წელს. განსაკუთრებით ტრაგიკულ როლებს ასრულებს კარგად. საერთო, საკოოპერაციო და სათეატრო-საკულტურო საქმის ერთი დაუცხრომელი მუშაკთაგანია.



ვლადიმერ ბეჟ. ნაჭყებია

ხეთელი, სცენას ემსახურება ისევე უანგაროდ, როგორც 20 წ. წინად დაიწყო: საკუთარი ზურგით ზიდავს ფარდებს, მართავს სცენებს, ასრულებს იმერულ კომიკურ და დრამატ. როლებს, ბევრი სცენისმოყვარე გამოწრთვნა. დღეს მისი შვილი ხეთის სცენის მოყვარეთა ჯგუფის ხელმძღვანელია. ჯგუფი დაარს. 1918 წ. აქ განუზრახავთ სასცენო დარბაზის მოწყობა.



მარო პეტრ. გვიჩია

აბაშელი, 10 წ. პროვინციის სცენას ემსახურება ასრულებს სახასიათო კომიკურ როლებს



პეტრე პავლეს-ძე მეუნარგია

ხეთელი, ზუგდიდის ახლო-მახლო სოფლებში წარმოდგენების მართვა დაიწყო 15 წ წინად ხშირად ერთი სოფლიდან მეორეში ზურგით გადაჰქონდა ფიცრები და სცენის სხვა ოწყობილებანი, დიდი აშაგი დასდომსცენას. ამჟამად მუდმავ მონაწილეობს ზუგდიდის სცენაზე .ასრულებს მოხუც კომიკურ როლებს. მისი ამხანაგებია პ. სართანია, კ ჭუკია და სხ.

### ნაცნობი

ლექსი დ. ჭანჭათელისა

გნახე შემთხვევით... და მომაგონდა..
რომ ჩვენ ოდესღაც ერთ-ურთს ვიცნობდით!
მახსოვს ვიყავით შეყვარებულნი
და ერთმანეთის ტრფობით ვიწოდით!..
მაგრამ... ის ტრფობა... გაჰქრა წარვიდა

პირველად.. ალბად გემახსოვრება,
შენ მიღალატე გაჰყევ მეორეს...
მაგრამ ვაჰ, ეხლა როს კვლავ გიცილე
ისევ აჩქროლდა მძინარე გული!
მაგრამ დავსწყევლე! მაინც დავსწყევლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეთრი გიორგი

[ძლევნად საქართველოს „თეთრი გიორგის“ კავალრებს]

აინთო თალი, მოზეიმე ზღვისფერი თალი,
ალმასურ გზნებით აბრჭყვიალდა მზის ქორკანდელი;
ბეჟმენდ მანგების სირაჯებით მოირწყო ბალი,
ბრილიანტების სრა სასახლე, წალკოტი მთელი. .

მარჯნების კლდეზე ამხუილდა შარბათის წყარო,
ანთებულ ლალზე უხვ-ნიაღვრად გადმოიღვარა,
აღუღდა ქაფი, ქორფა ქაფი წითლად მჩქეფარე.
მკვირცხლ ნაპერწკლებით ავარვალდა შხეფი ანკარა.

აიშვა ნელა თეთრ ოივთიკის თეთრი თეჯირი
თოლიათ თოვლით მთლად გათეთრდა თირი-ეთერი;
მტრედების ქროლვით ათამაშდა ცელქი ზეფირი,
იელვა მკვეთრად ცისკარეთმა არმატის ფერით

და ამობრწყინდა მზე-ჭაბუკი, ნატეხი ბროლის,
ვერცხლის მუქურა მოწყვეტილი, ედემის ვარდი:
თოვლის ფერ რაშზე მოთარეშდა გიჟური სრბოლით
მოავლო მზერა არე-მარეს ზეცით ლაჟვარდით...

მთელი მსოფლიოს სულ ურიცხვი მიწათა შორის,
მან მოჰკრა თვალი საქართველოს მეფე თამარის,
მოიხსნა ლენტი აბრეშუმის წრფელი ამბორით,
გადაისროლა ცის ეთერში ბრჭყვიალა თარი..

თოლიათ კრებამ მიმართულმან მწვანე ბუნარით
შეისვა ფრთებზე მოწიწებით ძვლებით ციალა,
ლენტის ფრიალით მწყობრ სიმღერით ფრენით ნარნარით
მხეში ჩაყურულ თბილისისკენ წაიფრიალა...

იის ფერ ლენტზე სარო-თარის ვერცხლ-ვარაყებით
ეწერა: „ძლევნას თეთრ გიორგის გმირ-კავალერებს!“
ვაშა! ზმანებას აღმოსავლურ მზის არაკების,
ვეფხის ტყავივით აჭრელებულ მწველსა სიმღერებს!

გრიშა თუთბერიძე



ნიკო ყარამანის ძე თავდგირიძე სოხუმის ქალაქის თავად არჩეული რამოდენ. მეჯერ 1905-1917 მისი მეცადინეობით მოწყობილ: მთელი ქალაქის და მის განაპირა ნაწილების ელექტრონით განათება, ჰიდროტეხნიკური სადგური, შენობანი, რეალური სასწავლებლის, ქართული შკოლის და საურთიერთო ნდობის საზოგადოების. აბხაზეთის კომისარებმა, მათი მოქმედების გზ. „საქართველოში“ კრიტიკულად განსჯისათვის გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ საზოგადოებამ დიდი უკმაყოფილება გამოაცხადა და მთავრობამ გააუქმა ეს დადგენილება. ამჟამად ნიკო თავდგირიძე მომრიგებელ მსაჯულთა კრებულის თავჯდომარეა აბხაზეთში.

## ქართველი ბიოგრაფი



1, იონა მეუნარგია; 2, ია ეკალაძე; 3, იასონ ნიკოლაიშვილი; 4, შიო მღვიმელი; 5, ჯაჯუ ჯორჯიკია; 6, ვ რუხაძე და 7, ის. კვიცარიძე.

**მეუნარგია, იონა მიხეილის ძე [1852-1919]**—ბიოგრაფი, დაიბ. 1852 წ ს. ცაიშს, ზუგდიდის მაზრ. პირველდაწ. სწავლა მიიღო მარტვილის სასულიერო სასწავლებელში. 1874 წ. დაამთავრა მეექვსე კლასი—ფილოსოფიური განყოფილება—თბილისის სასულიერო სემინარიაში და იმავე წელს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ, შვეიცარიას, სადაც იმ დროს ბევრი ქართველი ახალგაზრდა სცხოვრებდა და ორი წელი სწავლობდა ჟენევის აკადემიაში. 1876 წ. გადვიდა პარიზს, სადაც გაეცნო ნაციონ. და ჟენევიევს ბიბლიოთეკაში საქართველოზე ნაწერს ფრანგულს მწერლობას და ქართულ ხელნაწერებს, რომელიც სხვა და სხვა დროს იყო საქართველოდან გატანილი და ამ ბიბლიოთეკებში მოთავსებული. ნაციონალური ბიბლიოთეკიდან იმან, სხვათა შორის, გადმოწერა ნანუჩა ციციშვილისგან დაწერილი „ვეფხის ტყაოსნის“ დამატება, 396 ხანა. 1878 წელს დაბრუნდა საქართველოში იქნა არჩეული წ. კ. საზოგადოების წევრად და მდივნათ. იმისი აქ მსახურების დროიდან არის აღსანიშნავი მისი თაოსნობით დაფუძნებული ძველი ხელთ ნაწერი ქართული წიგნების ბიბლიოთეკა. ამ საქმეში იმას ეხმარებოდნენ ზაქარია ჭიჭინაძე და გრ ჩარკვიანი. შემდეგში როცა ამ ბიბლიოთეკას სამეგრელოს მთავარმა შემოსწირა მთავრის დავით დადიანის მდიდარი ხელთ ნაწერი ბიბლიოთეკა ი. მ. იყო გაგზავნილი გორდს ამ წიგნების ჩამოსატანად. იმ კომისიაში, რომელიც მაშინ იქ იყო გაგზავნილი გორდის სასახლეში მონაწილეობას იღებდენ: ილია ჭავჭავაძე, ვასო მაჩაბელი, დავით ერისთავი, გიგა ყიფშიძე, სიმონ ღოღობერიძე და სიმონ ყიფიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1879 წლიდან დაწყებული ი. მ. დიდხანს იღებდა ღონაწილეობას თბილისის რუსულ-ქართულ გაზეთებში, როგორც მოამბე, კორესპონდენტი და ფელეტონისტი. სწერდა ,,ტიფლ. ვესტ.' როცა გაზეთს ფაქტიურად განაგებდა გიორგი წერეთელი; „დროებაში" ცერგი მესხის დროს, რომლის ავადმყოფობის გამო ხშირად ასრულებდა რედაქტორის მოვალეობას და შემდეგ ივანე მაჩაბლის რედაქტორობის დროს; ,,კავკაზში" 1882-1884 წლეებში დავით ერისთავის რედაქტორობის დროს; „ივერიაში" ილია ჭავჭავაძის დროს. ამ უკანასკნელ გაზეთში დიდხანს ბეჭდავდა საქართველოს ისტორიულ პირთა მოსწრებულ სიტყვებს „ლელოს" ფსევდონიმით.

ქართულ მწერლობაში ი. მ—ს ფრიად საპატიო ადგილი უკავია, როგორც საქართველოს მწერლების და ისტორიულ პირთა ცხოვრების აღმწერს. სამოცდა-ათიან წლებში ჯერ კიდევ ცოცხალნი იყვნენ თანამედროვენი ჩვენის მწერლობისა ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკო ბარათაშვილის და გიორგი ერისთავის და მათთა თანამედროვეთაგან განაგონი მოწვდენილი მასალეებით ი. მ მ შეადგინა:

ალ. ჭავჭავაძის ცხოვრება, ჯერ დაუბეჭდავია.

ნ. ბარათაშვილის ცხოვრება, დაბეჭდილია გაზეთს ,,დროებაში''. ეს ცხოვრების აღწერა იყო წაკითხული საჯაროთ ჯერ თბილისში, მერე ქუთაისში.

გიორგი ერისთვის ცხოვრება, დაბეჭდილი მელიქიშვილის სტამბაში 1684 წ.

შემდეგ ი. მ-მ დასწერა:

,,ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა,'' დაბეჭდილი ჯერ ჟურნალ ,,მოამბეში'' ალ. ჭყონიასგან და მერე ცალკე წიგნად 1905 წ. რამდენიმე თავი ამ თხზულებისა იყო საჯაროთ წაკითხული ჯერ თბილის და მერე ქუთაისს.

მამია გურიელის ცხოვრება, დაბეჭდილია ქუთაისის ამხანაგობისაგან 1897 წ.

ნიკო გიორ. დადიანის ცხვრება, დაბეჭ. მთავარის ლევან დადიანის სამოძღვროდ დაწერილის დასტურლამის წინასიტყვაობაში 1691 წ.

გიორგი ქოჩაქიძის ცხდვრება, დაბეჭდილია 1913წ კილაძის სტამბაში ქ, ქუთაისში,

დავით ერისთავის ცხოვრება, წინასიტყვაობად დართული მის ნაწერთა კრებულში.

სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის ცხოვრება ჯერ დაუბეჭდავი. რამდენიმე თავი ამ ცხოვრების აღწერისა იყო ნაკითხი საჯაროთ ზუგდიდს სამეგრელოს თავადის სასახლეში.

თ. გრ. დადიანის ცხოვრება, ჯერ დაუბეჭდავია.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება სათაურით „ნანახ და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან'', დაუბეჭდავია. ეს მოკლე ცხოვრების აღწერა წაკითხული იყო ილიას დღეობაზე ჯერ ფოთს და მერე ქუთაისს.

ი. მ—ს ბევრი შრომა დაუდევს რუსთველის ქმნილების გარშემო. მისმა პარიზში გადმოწერილმა ნანუჩასგან დამახინჯებულმა ვეფ. ტყაოსანმა დასვა მის წინაშე საკითხი: რომელიღა არის დაუმახინჯებელი, ყველაზე უფრო ნამდვილი და სწორი პოემა რუსთველისა? არის თუ არა სადმე თუ არ რუსთველის ხელით, იმის დროის მახლობელი პირისგან ნაწერი ქმნილება დიდის პოეტისა და ამის გამო განიზრახა ესარგებლნა წ. კ. საზოგადოების მდივნის ადგილით და მისწერა საქართველოს სხვადა სხვა კუთხეებში, საცა მისგან შეკრებილი ცნობებით ეგულებოდა ვ. ტ. მაგრამ როცა უთხრეს ვ. ტ-ს. როგორც განძს, გამოს გზავნად ვერვინ შეელევაო, იმან მიმართა თხოვნით თ. გრ. ორბელიანს და ვეფ. ტაყაოსანის კუთხე-კუთხე ჩამოთხოვა მოხდა გრ. ორბელიანის ხელით მოწერილ წერილით. სულ შეიკრიბა ათიოოდე ვ. ტ. რომელთაგან ერთი ნ. წერეთლისა იყო ილლუსტრაციით. შეკრებილი წიგნების ერთმანეთთან შედარება და შესწორება მოხდა თ. საადგილმამულო ბანკის დარბაზში, საცა მუშაობა გაგრძელდა რამდენიმე კვირა. მუშაობაში მონაწილეობას იღებდენ: გ. ორბელიანი ამისი რჩევით პირველსავე კრებაზე იქნა მიღებული სიტყვა, ,ვეფხი'' ნაცვლად ,,ვეფხვის"ა), ილია ჭავჭავაძე, ნ. დადიანი, რ. ერისთავი ვ. მაჩაბელი, დ. ერისთავი და სხ. მრ. მთავარი განზრახვა ხელთნაწერების შეკრებისა მოემწყვდიათ თბილისში უძველესი ,,ვ. ტ.'' დარჩა მიუწდომელი, რადგანაც მეთექვსმეტე საუკუნეზე ადრე დაწერილი ეგზემპლიარი არსად არ აღმოჩნდა, მაგრამ ტექსტთა შედარებამ კი რამდენიმე გადამწერთაგან დამახინჯებული ადგილი რუსთველის ქმნილებისა გამოასწორა და გასწორებული ეგზემპლიარით დაიბეჭდა გ. ქართველიშვილის ძვირფასი გამოცემა, ზიჩის ილლიუსტრაციით.

ბევრის ხნით ადრე ვიდრე ქართველიშვილის გამოცემა დაიბეჭდებოდა ი. მ-მ სთარგმნა ვ. ტ. ფრანგულ ენაზე ფრანგის ჟიულ-მურიეს და ბარონესა ბეტრა ზუტნერის შემწეობით და ზიჩიმ ამ თარგმანის წაკითხვით შეადგინა თავისი ცნობილი ილლიუსტრაცია რუსთველის ქმნილებისა. ეს თარგმანი, ხელით ნაწერი, შემდეგში გადასცა მთარგმნელმა რუსის მგოს. ვ. ბალმონტს.

1888 წ. როდესაც ხელმწიფე ალექსანდრე მესამე იყო ქალაქს, ქართველიშვილმა და ი. მ. მიართვეს დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს პირველმა თავის გამოცემა ძვირფასი ყდით და მეორემ ამ შემთხვევისთვის მისგან შედგენილი რუსულ ენაზე: „ბარსოვა კოჟა ვ, რაზკაზე ი. მეუნარგია 1888 ამ მირთმევისთვის ორთავემ მიიღეს ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ბეჭდები.

ი. მ ს. კალამს ეკუთვნის ორი არქეოლოგიური მოგზაურობის აღწერა: ერთი სვანეთს, სათაურით: პოეზდკა ვ სვან. ურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლისა და მეორე მოგზაურობა აჭარას და ქობულეთს. უკანასკნელი მოგზაურობა იყო მომხდარი მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების მონდობილებით. პირველი დაბეჭდილია ცალკე წიგნათ ფოთში და მეორე საქართველოს საექსარხოსო სასულიერო მოამბეში.

ი. ნ. მსახურებდა ქალაქ ფოთის გამგეობის წევრათ 1891 წ. 1895 წლამდის და 1907 წლიდან 1913 წლამდის სულ 10 წლის გამავლობაში. მომრიგებელ შვამავლად მსახურებრა სენაკის, ზუგდიდის და ლეჩხუმის მაზრაში 1898 წლიდან 1907 წლამდე. ამ ადგილებში მსახურების დროს არა ერთ გზის იყო გაგზავნილი კავკასიის მთავარსამმართველოში, როგორც წარმომადგენელი ქუთ. გუბერნიისა, როცა აქ ირჩეოდა საკითხი გლეხთა დროებით ვალდებულების გაუქმებაზე და ერობის შემოღებაზე. ბოლო ხანებში ი. მ. მსახურებდა შავი ზღვის განაპირა რკინის გზის სამმართველოში ქ. ზუგდიდს; უკანასკნელ დღებში აირჩიეს სამეგრელოს მოსამართლეთა ყრილობის საპატიო თავჯდომარედ. თავისი ძალღონე ხალხის სინდისიერ სამსახურს შესწირა. თუმცა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა, მაგრამ ვიწრო პარტიულობაზე იმდენად მაღლა იდგა რომ ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. გარდაიცვალა მაისის 15 1919 წ ქ. ახალსენაკში სიდამბლით რაიც სამეგრელოს მომრიგებელ-მოსამართლეთა ყრილობის საპატიო თავჯდომარეობის დროს დაემართა. დაიკრძალა ცაიშის ძველ ეკლესიის გალავანში საკუთარ საოჯახო ეკლესიის ქერ ქვეშ. *)

---

*) ამოღებულია იოსებ იმედაშვილის ,,ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი-''დან (ხელთნაწერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კუდიანობის მსხვერპლი

(გაგრძელება.—იხ. ,,თ. და ც''. № 9)

მოქმედება მეორე.

(სცენა ონისიმე ფოცხვერაძის სახლში, სუფთად მორთულ იმერულ სამზარეულოში.)

1

გამოდის მარკოზა, სოფიო, მაია, თებრო და პიდასი.

მაია: დედა, ბერა ესმა, გუშინ მარინეს მოვკარ თვალი. დედა ღმერთო, როგორ გამოცვლილია! ისიც აღარავის არ ეკარება; გული ამოუჭამია მისთვის ფეფენას... ან როგორ იგუებდა იმისთანა ქალს, რომელიც მისი კუდიანობის მონაწილე არ გახდებოდა... ეხლა თურმე აღარც ჩხუბობენ და ძალიან სიამტკბილობითაც სცხოვრობენ.

ონის. საწყალი მარინე! მე ვერ შევძელი მისი ფეფენას ხელისგან დაფარვა; ალბად დაინახა, რომ ფეფენას წინააღმდეგ ვერავინ გამოჩნდა, რომ მასთან ბრძოლა ამაო იქნებოდა, რომ ის ყველაზე ძლიერია და დაიმორჩილა საწყალი, ეყმო სულიან-ხორციანად...

თებ. ეხლა ჩვენ სოფელში ვისაც რამე ზარალი მოუვა, ან თუ საქონელი ავად გაუხდა ვისმე, ან წვრილი ფეხი აღარ ეზრდება, ყველაფერს მარინეს აბრალებენ.., მისი კუდიანობის შემდეგ გახშირდა ჩვენ სოფელში ყოველივე უბედურებაო, ამბობს ხალხი.

პიდ. მე უფრო დასტურ ამბავს გეტყვით იმის კუდიანობის შესახებ: ჩვენი იოსებას დედა, სალომე მომიყვა: გუშინ წინ ღამე ვეღარ უთხარი და ფეფენას სიმინდში შევეხვეწეო, ვახშამიც იქ ვჭამეო; რომ გამოვსცილდი თუ არა ფეფენას სახლს, პირის საშინელი აყროლება ვიგრძენიო; მაკრინე—მკითხავს უთქვამს სალომესთვის—ქალალდში ამოუკითხავს, რომ ეს ამბავი მარინეს საქმეაო, რად მეეხმარეო უთქვამს მაკრინე მკითხავს, მარინე ეხლა ფეფენას კიდევაც აჭარბებს კუდიანობაშიო... შენაღლოცი მარილი მიეცა, პირში გამოივლე ხოლმეო, და ეხლა როგორც იქნა განთავისუფლებულა, მითხრა სალომემ!

სოფ. თვითონ წადი კაცო, წადი მეტი გზა აღარ არის. წადი და შეატყობინე მაგ უბედურის პირისუფალს მათი შვილის ამბავი.

ონის. ჩემი წასვლა რაღა საჭიროა, წერილში ყველაფერი ამბავი დაწვრილებით მივწერე, ამდენ ხანს ალბად მიიღებდენ, ამ შაბათ კვირეზედ ალბად მოვლენ. მრცხვენია, ღმერთმანი, მრცხვენიან, რა პირით დავუხვდე მარკოზას, რა რიგად მოუყვე მისი შვილის გაბოროტიანება... სიტყვა მივეცი, პატიოსანი სიტყვა, თქვენის შვილის მეთვალყურე ვიქნებითქვა, მე უპატრონებ თუ რამე გასაჭირი შეხვდა თქვა. მოდი ახლა და ასეთი ამბავი მოუყევი?! რაზედ გავერიე მე უბედური მაგ საქმეში... მარა ძალისწულია ის ოხერი შემეცოდა... ქალს ვინ მისცემდა იმ ჩერჩეტს, თუ მე არ მეთავებია... რა მეგონა, თუ ამისთანა რამეს ნახავდნენ ჩემი თვალები.

სოფ. ბედი ქონებია ალბად მაგ საცოდავს მაგისთანა, აბა რავაა? ყოველისფერი ღვთისგანაა... ვენაცვალე მის დიდებას...

მაია: აბა, სხვაფერ რავა იქნება?! რაც ადამიანს უწერია, ვინ აცდენს თავის წერას.

2

იგინივე მარკოზა, ესმა და ვასილი.

სოფ (ეგებება) მობრძანდით თქვენი ჭირიმე, მობრძანდით დალოცვილი ბძანდებით, კაი გზა გაქვთ გამოვლილი... (ესმას) ღმერთო მოწყალე თქვენ რამ შეგაძლებინათ ამათთან სიარული ჩემო ბატონო?

ესმა: (ნაღვლიანად) გამწარებამ ჩემო ბატონო, გამწარებამ ჩემო ანგელოზო.

სოფ. დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკიც და მისი მონაწილენიც: ღმერთი მოწყალეა იმის იმედით ვიწუხებთ ჩემო ბატონო. ეს არის ბატონო საიქიოს, რომ ბრძანდებოდა?

ესმა კი შენი ჭირიმე ეგ გახლავს.

სოფ. აბა ღმერთი ჩვენსკენ ყოფილა აწი აღარაფერი გვიჭირს.

ონის. ეს ადამიანები გზა გამოვლილები არიან სადილი მოგვიმზადე. (სოფიო მიბრუნდება თარომსკენ და სადილს ამზადებს ქალები ეხმარებიან)

მარ. ნამდვილი კაცი ხარ მეთქი ჩემმა ღმერთმა ნამდვილი! მაგაზე უკეთესი არასოდეს იქნება მადლიანი დედაკაცის ჭირიმე მე და ჩემმა ღმერთმა!

ესმა. ნეტავი შენ ყოველთვის კაი გუნებაზე ხარ!(მიმართავს სოფიოს)

მაკრ: აბა, ვიტირო დედაკაცო თუ? ცოდვა არ იქნება მასპინძლის ამისთანა სუფრას მოლუშული რომ შემოუსხდეთ!.. ეგრეა არა ბატონო? (სუფრას შემოუსხდებიან)

სოფ კი ჩემო ბატონო, კი შენი ჭირიმე მართალს ბრძანებთ, დაბრძანდით ჩემო ბატონებო.

— მაკრ. (ესმას) ნუ გეშინია, იმ კუდიან დედა კაცთან ანგარიშის გასწორებას მოვახერხებ, სად წავა? ხვალ ალიონზე დავიცემი თავში ორივე დედა შვილს და შავ დღეს დავაყენებ... როგორც კაცი ეხლა კი შევექცეთ, ტკბილი ღვინო დავლიოთ. მასპინძელს სადღეგრძელს, დაუწუნებთ ჩვენც ბატონ ვასილს მოუწყენთ

ონის. რასაკვირველია, რასაკვირველია... მხოლოდ თქვენი იქ წასვლა არ არის საჭირო, მე მათ თქვენი მოსვლა ვაცნობე და ორივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა შვილი და მარინე აქ დავიბარე დღეს.

მარკ: კიდევ უკეთესი, უფრო კარგი, აქ უფრო კარგათ გაუსწორდები. შენთან ნურას უკაცრავად ბატონო ვასილა, შენი ჭირიმე თუ რამე უზრდელობა შემინიშნო შეპატიე... შენ სულ სხვა კაცი ხარ.

ვას. (დინჯად) მოილხინე ჩემო მარკოზ, მოილხინე მე რაში მერიდები შე კაცო.

მარ. ილოცხლე, კაცი ბრძანდები და კაცი.. შესმენილი და ღვთისაგან დაჯილდოვებული... აი ჩემო ონისიმე ღვთის კაცი, საიქიოს ნამყოფი კაცი ამის იმედი მაქვს.

სოფ: (ვასილს) ბატონო შენი სულის ჭირიმე, მოგვიყევი ჩემო ბატონო თქვენი საიქიოს ყოფნის ამბავი.

მაია. გთხოვ მოგვიყევით თქვენი მადლის ჭირიმე.

ვას. (დინჯად ისვამს წვერებზე ხელს) ძალიან კარგი ბატონო, თავიდგან დავიწყებ ჩემს თავგადასავალს თუ როგორ მივიარე საიქიო: ჭურის თავზედ ცხონებულ მამა ჩემს ერთი ძველი და ბებერი მუხა ჰქონდა, ცხონებულმა ამ მუხის მოჭრა მითხრა ერთხელ, ხეზედ ჩემი ასვლა და ჩემს ხელში ცულის დამძიმება ერთი იყო... ესეკ რგად მახსოვს ყური არ ვათხოვეამას, დაუწყე შტოებს ჭრა. ერთი შტო მოვჭერ ჩამოვაგდე, მეორე შტოს რომ მოუქნიე ცული ვერ მოვახვედრა ორჯელ სამჯერ დავაცილე, გული მომივიდა ნუ თუ ასე მომცდარა ხელი თქვა და ერთი კიდევ მოუქნიე, მართალია მოხვდა შტოს მეკი ცული, მაგრამ არ გასჭრა, სულ არ მიეკარა რკინას ხე?! თურმე რას მოსჭრი?! ჩვენ აბა მრა ვაცოდით მერე გავიგეთ... თურმე ამ მუხაზე ანგელოზებს სცოდნიათ ჩამოფრენა, მერე მივხვდით ამას ჩვენ! , მე კი უფრო მომივიდა გული შტოს რომ ვერაფერი მოუხერხე. ზედ გადმომჯდარა, რაც ღონე მქონდა კიდევ მოუქნიე ცული, ეხლაც ვერაფერს დავაკლებ თქვა ვთქვი გუნებაში?! თქვენს მტერს მე რო დამემართა: უცბათ თვალებში წამომიბნელდა, წინ რაღაც შავად წამომეფარა, აზრი დამეკარგა და ხიდან ჩამოვარდნილს ძლივს დამყოლია სული მიწაზედ., ცოცხალ-მკვდარი მნახეს თურმე მუხას ქვეშ და წამიღეს სახლში. ისეთი ავად შევიქენი ისეთი, რომ ჩემს მორჩენას აღარ ფიქრობდენ თურმე... რა არ ექნა მამა ჩემს, რა საშუალება არ ეხმარა: ჯერ განატეხი გაატეხია თურმე დედადაკაცებს, მერე ცხრა გამოცდილ ქალს, ცხრა-ცხრა სანთლით ხელში თითოს ცხრა-ცხრა ლოცვა ათქმევია იმ მუხასთან, წმიდა გიორგის ხატისათვის ჩემი ზომა სანთელი შეუმთია, მაგრამ არ შეშველა მაინც არაფერი — ისევ ის უიმედოთ ვარ თურმე ერთ დღეს მომკვდარვარ კიდეც.. შეექნათ თურმე ერთი ტირილი-კივილი... ჩემს გასვენებაზე დაიწყეს ლაპარაკი, მე არაფერი არ მესმის!.. ამასობაში მე ზეცაში დავფრინავარ... ჩემი სული რასაკვირველია, ქვეყნად მხოლოდ ჩემი ლეში იდვა ტახტზე... სული კი მაღლა, მაღლა მიფრინავს.. ზევიდან დავჩერებივარ დედა მიწას, ბურთივით პატარა მოსჩანს. უცბათ ჩემ თვალწინ გაიშალა იმისთანა თვალ-უწვდენელი აწყვანებული მინდორი, იმისთანა, რომ იმის ნახვას არაფერი სჯობდა... მინდორი იმისთანა კიდევ არა აქვს, მთელი წელიწადი რომ იარო ვერ შემოუვლი... წვრილი გზა შემხვდა ერთი... დავადექი ამ გზას... ვიარე, ვიარე და ერთ წყაროსთან მიველი... წყალია იმისთანა, რო მკვდარს გააცოცხლებს იმის ერთი წვეთი, წყაროსთან კაცია, წევს. დამიძახა. სადაური ხარო? მეც მოვახსენე, ამა და ამ კაცის შვილი თქვა. აბა შენი აქ მოსვლა ჯერ ადრეაო. შენ კიდევ დედა მიწაზე უნდა დაბრუნდეო... გაყევი ამ გზას არსად გადაუხვიო, ბოლოში სიმონა კიკაბიძეს შეხვდებიო, ის გასწავლის გზას დედა მიწაზე რომ ჩახვიდეო .. კიდევ მითხრა: თუ გალობა რამე გეიგონო დეჩოქე და ისე იყავიო, სანამ გალობის ხმა არ შეწყდებაო .. გამეხარდა სიმონ კიკაბიძის ნახვა რომ მითხრა. გავწიე ნაჩვენები გზით... ვიარე, ვიარე ამ მინდვრით... სულ ცხვრით იყო საცსე იქაურობა... ბევრი ვიარე, ერთ ადგილას შემხვდა სიმონა, ზის და მასთან რამოდენიმე ჩვენი სოფლის მიცვალებულიც არიან... მუსაიფობენ... დამინახეს გაეხარდათ... ამბავი მკითხეს .. მერე მევკითხეთ რა ადგილია თქვა? მიპასუხეს, რომ სამოთხეა და წყაროსთან რო კაცი იწვა ანგელოსი ყოფილა თურმე რასაც ცხვრებს ხედავ ცხონებულთა სულიაო... ანგელოსი უყურებთ. მათ არა დააკლდეთ რაო. რომ ვლაპარაკობთ ასე, მოისმა ისეთი მშვენიერი გალობა, რომ მთელ სიცოცხლეში მისი ყურება რავა მოეწყინება ადამიანს.. ყველამ მუხლი მოვიყარეთ... სიმონამ მითხრა ანგელოსების გალობაა — ღმერთს ადიდებენო. სიმონამ მითხრა: მამაშენის ლოცვა წადგომიაო, ღმერთს შენზე ძალიან მოწყალება მოუღია და ნულარ იგვიანებო როგორც გითხრა ანგელოსმა დედა-მიწაზე ჩქარა დაბრუნდიო... გამოვეთხოვე ყველას, სიმონამ გზა მასწავლა და ჩემი სული სწორედ იმ დროს დაუბრუნდა ჩემ ლეშს, როცა გასვენებას აპირებდნენ. ყველა გაშტერდა გაცოცხლებული რომ მნახეს!.. რა სიხარული, რაამბ ვიკ, კაცი როგორ გამოთქვამს, ერთ თვეზე სრულიად გამოვკეთდი და იმას შემდეგ ფეხილი არ წამომტკენია. .

[დას. შემ.]

გრიგოლ საქარიქედელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნამდვილი ამბავი

ბესარიონ ძ. ძგილაძე, ყოფილი მებატონე, ცოტად თუ ბევრად შეგნებული და განვითარებული აზნაურიშვილი იყო. დიდი ხანი არ არის რაც რევოლიუციის გამო სოფელი დასტოვა და ქალაქში დასახლდა. მისი მეუღლე თეკლე, რომ იტყვიან, ცოლი ქმრის საყელოს ამონაჭერია, სწორედ ისე ჰგვანდა ქმარს: ერთი და იგივე ხასიათები, ერთი და იგივე შეხედულებები; ბესარიონი რომ რამეზე მსჯელობდა, წინდა წინვე დარწმუნებული იყო, რომ თეკლე ყოველ მის სიტყვას მოწიწებით მოისმენდა და შეურყეველ ჭეშმარიტებად მიიღებდა.

ბესარიონი საშუალო შეძლების პატრონი იყო, შამულის შემოსავლითა და მცირე პენსიით სცხოვრობდა და იოლად გამოდიოდა. მათ სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე მეზობლები და ნაცნობები.

ერთ დღეს ბესარიონს შინაურულად სტუმრები ჰყავნდა სადილზე. ჩამოვარდა ლაპარაკი გვაროვნობაზე.

—თქვენ რაც გინდათ სთქვით, მაგრამ მე კი მტკიცედ მწამს, რომ თუ მშობლები ორივენი კეთილშობილი სისხლისანი არ არიან, მათშვილს აუცილებლად შეეტყობა ეს როგორც ნიჭზე, აგრეთვე გარეგნობაზე,—დაასკვნა ბესარიონმა.

—აბა, დახე, ქალო, ამ ხელს, მიმართა ბესარიონმა თეკლეს და თავისი კოტიტა ხელი გამოშალა: ხედავ, განსხვავება აქვს კეთილშობილის სისხლს. მიაქციე ყურადღება ამ ნაკვთებს, ამ მოყვანილობას,—თან კმაყოფილებით გაიღიმა და ჩიბუხის წევისაგან გაყვითლებული დიდრონი კბილები გამოაჩინა.

—თეკლე ადამიანო, არ გეყურება, შენ გელაპარაკები,—გაიმეორა მოთმინებიდან გამოსულმა ბესარიონმა, მედიდურად მხრები აიწია და ოდესღაც რაღაც სამსახურში ყოფნის დროს ნატარები კოკარდიანი ქუდი თავზე გაისწორა, დახე მეთქი ამ ხელს!

მაშ კაცო, ჩვენი სისხლი სულ სხვა რამ არის,—უპასუხა თეკლემ რომელიც იქვე დაფუსფუსებდა და სადილის სამზადისში იყო. მერე ისიც დაუმატე რომ ჩინი და ორდენიც გიბოძა იმ დალოცვილმა ხელმწიფემ.

ცოტა ხნის შემდეგ ლამაზ ქართულ კაბაში გამოწყობილი და თვალტანადობით მომხიბლავი თეკლეც მოუჯდა სუფრას. სახეზე კმაყოფილების ღიმილი უკრთოდა.

—მშვენიერი ჩიხირთმა გაგიკეთებიათ, ქალო,—უთხრა შალიკომ თეკლეს.

—მაშ, შალიკო, იმიტომ გავაკეთე კარგი და გემრიელი, რომ კეთილშობილი გვარისა ვარ და გემოც იმიტომ მაქვს კარგი,—უპასუხა ნასიამოვნებმა თეკლემ.

—ოღონდაც,—წამოიძახა ბესარიონმა და ულვაშებზე ხელი გადისვა.

—თუ ჩიხირთმისა და მოზბაშის გაკეთების მეტი არა იცით რა და ლამაზი ხელებით მოგაქვთ თავი, თქვენმა მზემ ააშენებთ ქვეყანას. უქმი და გამოუსადეგარი იყავით აქამდის და კვლავ ისევე დარჩებით,—უჩურჩულა ერთმა ახალგაზრდა გლეხთაგანმა—მეორეს.

როგორც ეტყობოდა თეკლემ ყური მოჰკრა ამ ლაპარაკს.

ამ მოულოდნელი სიტყვების გაგონებაზე თეკლე ცეცხლივით აენთო.

—როგორ თუ უქმი და გამოუსადეგარი? ქა!..უკაცრავად ყმაწვილო ვინ მოგახსენათ, რო ჩვენ ალარაფერი ვართ და არც არაფრის კარგის გაკეთება შეგვიძლიან. მაშ ოჯახი ვინ დაადგინა, კარგი შვილებიც დავზარდეთ და მტერსა და მოკეთისთვისაც გამოსადეგნი ვყოფილვართ, ძველი და ახალი ტანისამოსი აგრეთვე სასმელ საჭმელი ისე გვირიგებია საწყლებისთვის, რომ არც ვისმეს შეუმჩნევია; როგორ გგონიათ სამშობლოსთვის და ხალხის კეთილ დღეობისთვის თქვენ ვითომ მეტად შეგტკივათ გული? სულაც არა. ნახეთ ამათ კადნიერებას ჩვენსავ სუფრაზე და პურმარილზედ,—გაკაპასებულმა შეჰყვირა უცებ თეკლემ.

—რა გაიწყობა ერთობამ და ახალმა თაობამ ნიკოლოზი, მისი კანონები და სამართალი ძირს დასცა. თითონვე ხალხი ვითომ და განაგებს თავის საქმეს, მოსამართლეებათაც ხომ თითონვე გლეხკაცები არიან. მაგრამ, ტყუილია. ჩემს წოდებას და ღირსებას მაინც ყოველთვის პატივისცემა და ფასი ექნება.

—ჰაი გიდი დროება., როგორ გამოიცვალა ხალხი. უწინ ვინ გაგვიბედავდა მაგეებს ალმოხვრით დაასკვნა მოხუცმა ბესარიონმა

—ბატონო, როგორ მოგწონთ თავად სიმონის ქალი თამარა რომ გიგო ადამიძეზე შეირთო, ჰკითხა კნეინა სოფიომ. -აფსუს კნიაჟნა. წამოიძახა ბესარიონმა გაკვირვებით, მერე ვისი შვილია? იმისი მამა ერთი ღარიბი გლეხი ხელოსანი იყო. თავადიშვილმა იმას როგორ მისცა ქალი, რიგიანი ოჯახის შვილი კაცი დაეკვეთა?

—თქვენმა მზემ, ასე მოგახსენებენ, ქალსა და ვაჟას ერთმანეთი თურმე შეჰყვარებიათ დიდი ხანია და დედმამაც წინააღმდეგი ვეღარ გამხდარან, რადგანაც თითონ გიგო ადამიძე ჭკვიანი ყმაწვილია, ნასწავლი და შეძლებულიც არის, და ერთ მშვენიერ დღეს ჯვარი კი დაუწერიათ, დაუმატა დარბაისელმა კნინამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი მაგაზე ნითქვამია, რომ სიყვარული დაბალს ამაღლებს მაღალს ამდაბლებსო, სთქვა ბესარიონმა და სავარძელზე მიესვენა.

— უი, შერცხვენას და დამცირებას, რავდენი კარგი თავადიშვილი თხოულობდა. სილამაზე აკლდა, ნასწავლი არ არის თუ უზითო იყო, მერე რა კეთილი მოსიყვარულე ხასიათისა, მე ვიცი ახლანდელი ზოგიერთი ქალებივით უკმეხი და თავის ნათქვამი არ იყვეს. მხოლოდ იმათი ფიქრია კარგი ჩაცმა დახურვა და დროს გატარება. დასძინა გულნატკენმა თეკლემ.

— ქალო, ვერ გაიგეთ, ეხლა წოდება თღარ არის. დროება გამოიცვალა. ეხლა ვისაც თავში ჭკუა აქვს, კაცი ის არის და იმას აფასებენ გინდა გლეხი იყოს და გინდ თავადი.

— აი თუნდა ერთი მაგალითი ავიღოთ. თავადი რეზო ნებიერიშვილი, რომელსაც თქვენც კარგათ იცნობთ. რეზო თვალ-ტანადობით კარგი ყმაწვილია, მაგრამ როგორც უნიჭო, გიმნაზიის მესამე კლასიდან გამოვარდა. გათენდება თუ არა, ჩაიცვამს ჩოხა ახალუხს, შემოიკრავს ხანჯალს, რევოლვერს, პატარა რგვალ ქუდს გვერძე მოიდებს, კოხტად გამეწყობა, პაპიროსს ხელში დაიჭერს და მთელ დღეს უქმად, უაზროთ ალამებს; დროს გატარებას ხომ ნუ იტყვით: იმის თავიდან ღვინო არ გამოვა, და ვინმემ რამე მიზეზი მისცა, ხმა გასცა, ვაი იმათი ბრალი, აუტეხს აურზაურსა და მაშინვე ხანჯალზე, რევორველზე გაიკრავს ხელსა, ყველანი ერიდებიან, მეტადრე გასათხოვარი ქალები, იმის შიშით კარზე ველარ გამოსულან.

კიდე დიდ ხანს ისხდნენ ბესარიონის სახლში სტუმრები და ბაასობდნენ ახლანდელ დროზე..

მარიამ წინამძღვრიშვილი

## „სინათლე“ თათრულად

იყო დრო, როდესაც ქართულ ლიტერატურას დიდი კრიზისი ედგა, მაგრამ დროთა ვითარებაში ის იმდენათ გაიზარდა, რომ დღეს ყველასათვის ფაქტი შეიქმნა მისი აღორძინების საქმე და, აქა თუ იქ, ყველგან, ელვის სისწრაფით მოედო და დღესაც დიდია მისი მოთხოვნილება. ამის მიზეზი? მიზეზი ქართულ ლიტერატურის აღორძინებისა, თვით ქართველ ხალხის გაკულტურობაში, მის საღ აზროვნებაში და სწავლა-განათლების მოთხოვნილებაში უნდა ვეძიოთ.

ყველასათვის უდავო აქსიომათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქართველი ხალხის ზესთა შემოქმედი ბუნება, ტრადიციული ფსიქოლოგია მუდამ პროგრესიულ სარბიელისკენ იყო მიქცეული და ამიტომ შესძლო ქართული ლიტერატურის სწრაფი აყვავებაც. მიუხედავათ იმისა, რომ ქართველ ხალხს მუდამ სიკვდილის და განადგურების შავი აჩრდილი დასტრიალებდა თავს, მიუხედავათ იმისა, რომ ქართველმა ხალხმა, თავის განვლილ საკაცობრიო ცხოვრებაში, ბევრი დაბრკოლება და ჭირ-ვარამი გამოიარა, მან მაინც თავი დააღწია ამ საშინელებას, ყველანაირ კოშმარობას სძლია, და, სულ მცირე დროთა განმავლობაში, ის იმდენად დაწინაურდა, რომ ევროპიელს არ ჩამორჩა და, თუ წინ არ გაუსწრო, გვერდში მაინც ამოუდგა, საერთაშორისო კაცობრიობის ღირსეული შვილი გახდა და მსოფლიო ისტორიაშიაც საპატიო ადგილი დაიჭირა.

გადაავლეთ თვალი ქართველ ხალხის სისხლით დაწერილ ისტორიას და ამას თვით ის გეტყვით.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ ნახევარ საუკუნის წინათ, და უფრო ადრეც. ქართველი მწერლები თითზე ჩამოითვლებოდნენ და ბეჭდვითი სიტყვაშიაც თითქმის იმდენი ვერა კეთდებოდა-რა, ჩემის აზრით, ქართულ ლიტერატურის და სიტყვიერების აღორძინების მამათმთავარ ქვაკუთხედათ ეს დრო, მესამოცე წლები, უნდა შეადგენდეს; აქედან უნდა ჩაჰყროდა საძირკველი ქართულ ახალ სიტყვიერებას.

ჩვენი დრო კი მესამოცე წლების გაგრძელებაა და აი, ამ ხანის განმავლობაში პოეზიის სამეფოში იმდენი გაკეთებულა, რაც სხვა დროს არასოდეს და, აი, რაც დრო გადის, იმდენათ უფრო იზრდება ჩვენი სამბოლო შემოქმედებისა და ქართულ სამწერლო ასპარეზზე თავს იყრის ჩვენი ნიჭითა და ენერგიით დაჯილდოვებული სამშობლოს საამაყო, საუკეთესო ღირსეული შვილნი მამულისა და კაცთმოყვარეობისა.

ჩვენის მწერლობის ასპარეზზე გამოდიან უცხონიც.

სხვათა შორის, ერთ ასეთ ღირსეულ შვილად უნდა ჩაითვალოს, ჯერ ჩვენ საზოგადოებისთვის უცნობი თათარი ვინმე ასად თაღი-ზადეც.

ასად თაღი-ზადე, ჩამომავლობით თბილისის მცხოვრები მაჰმადიანი, ოცდა ხუთი წელიწადია, რაც ქართულ მწიგნობრობას მისდევს, და ამ ხნის განმავლობაში იმდენათ კარგათ შეუსწავლია ქართული ლიტერატურული ენა, რომ ი. გედევანიშვილის პიესა „სინათლე“ გადაუთარგმნია თათრულად და მოკლე დროში მისი გამოცემაც განუძრახავს.

ასად თაღი-ზადე შემდეგისათვისაც გვპირდება ასეთ სისტემატიურ სიურპრიზებს, ე. ი. იმედს გვაძლევს, რომ ის ამ დარგში ხელ აუღებლად იმუშავებს და მუდამ შეეცდება, რომ ურთიერთ შორის ის კეთილ მეგობრულ და ძმურ სიყვარულს ჩაჰქსოვს და ერთმანეთის ენას გაგვაგებინებს.

ეს მეტად სასიამოვნო მოვლენაა: ასად თაღი-ზადეს გადადგმული ნაბიჯი დიდ ჰუმანისტობას მოასწავებს და ჩვენსა და ჩვენ მოძმე თათართაშორის სოლიდარობის კოცონს ააგიზგიზებს.

ასად თაღი-ზადეს ნაბიჯიც სწორედ აქეთკენ არის მიმართული, და, როგორც ასეთს, ჩვენ მას ხელი უნდა გაუწოდოთ და ვუსურვოთ, ამ გზით დიდხანს ევლოს.

კოლა გულიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**იოანა (ვანო) კავლესძე კილასონია**

თავდადებული მოწინავე მუშაკი, 8 წ. ჯარის კაცად ნამყოფი ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გადაიცვალა ქ. ბაქოში 1919წ. მაისის 12.




**ზუგდიდის** მოსამსახურეთა საკრებულოს სცენაზე აგვ. 10 ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრის თაოსნობით გაიმართა საღამო ჟურ. ,,თეატრი და ცხოვრების'' ფონდის გასაძლიერებლად. იოსებ იმედაშვილმა წაიკითხა ლექცია ,,დემოკრატიული რეჟიმი და გარდამავალი ხანა,'' რაიცა საზოგადოებამ დიდის ყურადღებით მოისმინა. შემდეგ სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა თითო მოქ. კომედიები ,,მოულოდნელი შემთხვევა'' და ,,დარისპანის გასაჭირი'', დ. კლდიაშვილის. ორივე კომედია საუცხოო ანსამბლით იყო წარმოდგენილი,—მაყურებელთა თვალწინ სახიობდენ ნამდვილი ხელოვანი მსახიობნი: ირ. ბოხუა (მოსამსახურე, დარისპანი) ვერა ქარდავა (კაროჟნა), მანია გვიჩია (მართა), კაჩუ ჩიქ ვანი (ეჩისიმე), შურა პატარაია (პელაგია), ვალ. ჯიქია (ოსიკო) გასაოცარის დაკვირვებით და ბუნებრივი სანამდვილით ანსახიერებდენ თავის როლებს,—განსაკუთრებით ირ. ბოხუამ და ქარდავამ მოაჯადოვეს დამსწრენი. მათი მხრის დამამშვენებელნი იყვნენ ელო ანთელავა (ნატალია), ლ. ხუბულავა (ვახ. სიმ.). ვ. ცაგურია (გიორ. ალ.) და სხ.—აღსანიშნავია აგრეთვე ლ. ხუბულავას მოკარნახობის ნიჭი: ასეთი მოკარნახე იშვიათად შეგვხვედრია. ყველა მონაწილენი საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. საღამოს დიდი საზოგადოება დაესწრო,—ამბობდენ სამოცამდე მარტო სოფლის მასწავლებელიაო. იყო **ძია**

**საგარეჯოში** მარიამობისთვის 17 ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა ძველი სცენის მოყვარის ლ. ვაშაკიძის პატივსაცემად წარმოადგინეს ,,პეპო''. წარმოდგენის დაწყებამდე იოსებ იმედაშვილმა მოკლე სიტყვით განმარტა საზოგადოთ თეატრის და კერძოთ სახალხო თეატრის მნიშვნელობა--დანიშნულება. პიესას მოუმზადებლობა ეტყობოდა. თავისი როლები ბუნებრივად განასახიერეს ლ. ვაშაკიძემ (შუშანა) ი. ანუაშვილმა (გიქო), კ. ქურდოვანიძემ (კაკული) და ი. რევაზოვმა (პეპო),—უკანასკნელს უფრო მეტი მოეთხოვებოდა. საერთოდ აქაურ სცენის მოყვარეთ გაცილებით უკეთ შეუძლიანთ პიესების წარმოდგენა. ავნი ენანი მოგახსენებენ, სცენის მოყვარეთა შორის ინტიგანობა გაჩნდაო—თუ ეს მართალია, სამარცხვინო იქნება: ხელოვნება უპირველეს ყოვლისა სილამაზე და სიყვარულია და ვინც ამას მზაკვარი გულით მიუდგება, ერს ვერაფერ სამსახურს მოუტანს.—ვუსურვებთ საგარეჯოს სცენის მოყვარეთ, უფრო დიდის სიყვარულით მოპყრობოდენ ნაკისრ მოვალეობას. **გა-ლი**

**ლაილაში** დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა დრამატიული საზოგადოება. დაარსების დღიდამ სცენის მოყვარეები თავიანთ ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ —იდგმებოდა წარმოდგენები თითქმის ყოველ კვირაში. ხალხი ძალიან მიეჩვია წარმოდგენებზედ სიარულს და ძალიანი ნასიამოვნები დარჩა ახალი სცენის მოყვარეებისაგან.

უკანასკნელ ხანებში ძალიან ცუდათ წავიდა ჩვენი საზოგადოების საქმე. გამგეობამ ისედაც სუსტ მუშაობას მთლად ფრთები შეაკვეცა, სცენის მოყვარეები ზოგი სად წავიდნენ, ზოგი სად, მაგრამ ლაილაში კიდევ დარჩენ საკმაო რიცხვი სცენის მოყვარეებისა,

უკანასკნელად ჩაგვისტოს რეჟისორ ალ. ალხაზაშვილისაგან მოწვეულ იყო ნაუცბათევი კრება სცენის მოყვარეებისა. მოხსენებას აკეთებს ალხაზაშვილი და მოუწოდებს დამსწრეთ: ან მუშაობა განვაგრძოთ ან სულ მივანებოთ თავი და სახელს ტყუილად ნუ ვატარებთ რათა კერძო ჯგუფებს მაინც მიეცეს საშუალება საზოგადოება დააკმაყოფილოს წარმოდგენებით თუ სხვ. პირველად ალხაზაშვილს ყველა ეთანხმება:, მუშაობა განვაგრძოთ და მომავალ შაბათისთვის წარმოდგენა გაიმართოსო. შემდეგ კი ზოგიერთები ილაშქრებენ ალხაზაშვილის წინააღმდეგ: ისინი აღნიშნავენ რომ რადგანაც გამგეობა არსებობს, უმისოთ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლიათო (ანგარიშ არ უწევენ გამგეობის მიძინებას) და დაარღვიეს თავიანთი გარდაწყვეტილება.

როგორც რამდონიმე ამხ შენიშნა, მათ არ ძალუძს უგამგეობოთ მუშაობა, ისინი დაყრდნობილი არიან გამგეობაზე და თუ გამგეობამ მთლად შესწყვიტა თავისი მუშაობა- ისინიც მზათ მხარი დაუჭირონ - მიჰბაძონ გამგეობას.

ძალინ სამწუხარო და სავალალოა ზოგიერთი ამხანაგების ასეთი მოსაზრება; ისინი არ უფიქრდებიან მომავალს, არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას რა გარემოებაც არის შექმნილი ლაილაშის სცენის მოყვარეთა შორის.

დეე... ბრალი დაედვას იმ ამხ. რომლებმაც არ მიიღეს ალხაზაშვილის დიდ მნიშვნელოვანი წინადადებ, თუ ეს უარის ყოფა შეიქმნეს - არსებობის უარის ყოფა ჩვენი დრამატიული საზოგადოებისადმი.

დეე .. მათ აგონ საზოგადოების წინაშე პასუხი და ჩვენ კი ხელი დაგვიბანია ამ არა სასიამოვნო მაქმეში

**გულ შემატკივარი.**

**ს. კახათში** საკულტურო მიზნით აგვისტოს 17 და 20 დაიდგა ორი წარმოდგენა: პირველი ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, უკანასკნელი-კი ზუგდიდის დრამატიული დასისაგან. წარმოდგენას ხალხი ნაკლებ ესწრება, მიზეზია მოწინავე წრეებში პოლიტიკური ავადმყოფობა „სიბეცე''. არ ვხედავთ წარმოდგენაზე ისეთ პირებს, რომლებსაც ქვეყნის მართლად მოაქვთ თავი; რას ნიშნავს ეს?

**ვ—ელი გ.**

## ცახელის ხსოვნას

ფუი, შენ ბედო თუ მშრომელს
ამგვარ მწარ ბოლოს უწერდი!
**ცახელი**

რაც ცრემლი, სევდის ცრემლი, მომადგება ხოლმე თვალზე,
მაშინ გულიც კვნესის მასთან ჩვენის ერის მომავალზე.
როცა უდროოდ იღუპება ღვაწლმოსილი პიროვნება,
სიცოცხლეში განამწარი, სიბერეს ვერ ეგებება,—
მაშინ ვფიქრობ: ნუ თუ ასე გაგრძელდება ჩვენი ყოფა,
ნუ თუ ტანჯულ საქართველოს ესდენ მსხვერპლი არ ეყოფა!
მაგრამ არა! ერის მგოსანს ვერ დაჰწამებ იყოს მკვდარი,
ის თვით ერის მსხვერპლთაზე დადნა როგორც კელაპტარი
მისი ხსოვნა ამ ჩვენს გულში იკიანთებს როგორც დილა,
ბნელწყვდიადის ანათობელი ვითარც წმიდა სანთლის ფთილა

დ. ესებუა.

(ტეხნიკურ მიზეზით შესაფერ ადგილას ვერ იბეჭდება)

## მარცვლები

(პასუხის მაგიერი)

ძაღლმა რომ დაგყეფოს, ჯოხს ნუ მოუქნევო,— თუ კაცმა დაგღრინა—ძაღლსავით ნუ ჩაგდებ.

*

ძველთაგან შემჩნეულია: ყველაზე უდიდესი ცოდვა ის არის, ვინც თავის შეცოდებას ვერ ამჩნევს სხვას მოუგონებს და აზვიადებს.

*

სახით მახინჯს სარკე ეჯავრება, სულით მახინჯს—სინდისის მამხილებელი.

*

ყველას თავისებური ალაბი აქვს,—სულით ბილწს სხვაც ბილწი ჰგონია.

იოსებ არიმათიელი



ლ. მანსურაძის ქართველ მომღერალთა გუნდი

## წვრილი ამბები

**მ. ოსანი ცახელი** სოფელში მოკლეს.

**კაპელლამ** დასავლეთ საქართველოში 14 კონცერტი გამართა, გვარდია ჯარისთვის—უფასოდ.

**ია ეკალეძეს** (ი. ცინცაძეს თომაანთ კობას) სამწერლო მოღვაწეობის 25 წ. თავი ენკენის. 14 უსრულ.

**გურია-სამეგრელოში** მოგზაურობის შთაბეჭდილებანი შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

**ზუგდიდ-სამეგრელოს** უბნის კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა წლიურმა ყრილობამ 8—11 ივნისს დაავალა კავშირის გამგეობას შეძინოს სახალხო სახლისთვის ბინა კავშირის სახელობაზე და მის მზრუნველობის ქვეშ. 1918წ. მოგებიდან გადასდო 40000 მ.

**კარაბადინი ჯალინოზ და ლოღმანის** (სამკურნალო წიგნი) მოიძია, გაასწორა, წინასიტყვაობა წაუმძღვარა და სარჩევი დაურთო ს. ქვალონის მასწავლებელმა გრ. იას. ხუროძეს. ხელნაწერი—196 ფურცელ. ინახება ,,თ. და ც.'' რედაქციაში.

უცხო სიტყვ. **ლექსიკონი**
შედგ. იოსებ იმედაშვილის მიერ, ფასი 60 მ.

**ქართული ლატარიის** ბილეთებითურ ქართული სინემატოგრაფიული არშიების სეანსები გამართა გურიში ს. ახვლედიანმა და გ. გოგიტიძემ.

**,,თეატრი და ცხოვრების''** საღამოში ზუგდიდში მონაწილეობა მიიღეს: ვერა ქარდავამ, მანია გვიჩიამ, შურა პატარაიამ, ელო ანთელავამ, ირაკლი ბოხუამ, პეტრე მეუნარგიამ, კაჩუ ჩიქოვანმა, ლ. ხუბულავამ, ვ. ცაგურიამ, ვალ. ჯიქიამ, ალ. გუგუნავამ. ერთმა ასულმა. (რომლის სახელ-გვარი არ ვიცით) და სხ. რომელთა უანგარო, მუყაითმა გარჯამ საღამოს კარგა ჩატარებას ძლიერ შეუწყო ხელი, შემოსავალი 4 200 მან. აღემატა; სცენის მოყვარეთა წრემ რევიზიციის ხარჯიც კი არ აიღო, აგრეთვე სრულიად არაფერი აიღო ზუგდიდის მოსამსახურეთა კლუბის მამასახლისთა გამგეობამ. ყველა ამათ რედაქცია უგულითადეს მადლობას უძღვნის.

**,,თეატრი და ცხოვრების'' ფონდის** სასარგებლოდ მივიღეთ: 1, ზუგდიდის სცენის მოყვარეთაგან 205 მ. 2, იქვე გამართულ საღამოდან 4,200 მან.